ლევან ახვლედიანი

სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროს ანალიზი

(გაგრძელება)

ვაგრძელებთ სამუშაო ფურცლების გამოქვეყნებას, რომლებიც შეიძლება გამოიყენოთ სწავლების პროცესში სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროს ანალიზისთვის.

წინა სტატიაში http://mastsavlebeli.ge/index.php?action=page&p_id=7&npid=5&id=188 ოთხი სახის სამუშაო ფურცელი წარმოვადგინეთ:

* ისტორიული წერილობითი დოკუმენტის ანალიზის სამუშაო ფურცელი;

* არტეფაქტის ანალიზის სამუშაო ფურცელი;

* რუკის ანალიზის სამუშაო ფურცელი;

* კარიკატურის ანალიზის სამუშაო ფურცელი.

ამჟამად გთავაზობთ კიდევ სამი სახისას:

* ფილმის ანალიზის სამუშაო ფურცელს;

* ფოტოსურათის ანალიზის სამუშაო ფურცელს;

* პლაკატის/აფიშის ანალიზის სამუშაო ფურცელს.

იმედია, წარმოდგენილი სამუშაო ფურცლები ხელს შეუწყობს ისტორიის სწავლებას ჩვენს სკოლებში, აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციასა და ისტორიით დაინტერესებას.

ფილმის ანალიზის სამუშაო ფურცელი

<table>
<tr><td colspan="3">საფეხური 1. ფილმის წინასწარი ანალიზი სათაურის გაცნობის შემდეგ</td></tr>
<tr><td>ა)</td><td colspan="2">ფილმის სათაური _____
ფილმის რეჟისორი _____</td></tr>
<tr><td>ბ)</td><td colspan="2">როგორ ფიქრობთ, რას ნახავთ ამ ფილმში? ჩამოთვალეთ სამი მოსაზრება ან იდეა, რომლებიც ფილმის სათაურისა და რეჟისორის ვინაობის გაგებისას დაგებადათ. სათაურიდან გამომდინარე, ჩამოთვალეთ ფილმის რამდენიმე სავარაუდო გმირი.</td></tr>
<tr><td colspan="2">მოსაზრება/იდეა:</td><td>ფილმის გმირები:</td></tr>
</table>

1. ----------	1. ----------
2. ----------	2. ----------
3. ----------	3. ----------

საფეხური 2. ფილმის ანალიზი ჩვენების პროცესში

ა) ფილმის სახეობა (მონიშნეთ სწორი პასუხი)

- ☐ ანიმაციური
- ☐ მხატვრული
- ☐ დოკუმენტური
- ☐ კინოქრონიკა
- ☐ პროპაგანდისტული
- ☐ თეატრალური დადგმის ჩანაწერი
- ☐ სატრენინგო
- ☐ და სხვა

ბ) ფილმის ფიზიკური მახასიათებლები (მონიშნეთ სწორი პასუხი)

- ☐ მუსიკალური
- ☐ ნარატიული
- ☐ სპეციალური ეფექტებით
- ☐ ფერადი
- ☐ შავ-თეთრი

საფეხური 3. ფილმის ანალიზი ჩვენების შემდეგ

ა) ჩამოთვალეთ ფილმის ნახვის შემდეგ დაბადებული ის მოსაზრებები და იდეები, რომლებიც დაემთხვა მის ნახვამდე, წინასწარი ანალიზისას დაბადებულს.

ბ) რა არის ამ ფილმის ძირითადი იდეა?

გ) რამდენად რეალისტურია ფილმში გადმოცემული ამბავი? დაასაბუთეთ.

დ) დაასახელეთ ორი რამ, რაც მოგვითხრობს იმ ქვეყნის შესახებ, რომელშიც ვითარდება ფილმის სიუჟეტი:

1. _____

_____

2. _____

_____

ე) დაუსვით ფილმის შემქმნელებს კითხვა, რომელიც ფილმში პასუხგაუცემელია:

ფოტოსურათის ანალიზის სამუშაო ფურცელი

საფეხური 1. დაკვირვება

ა) დააკვირდით ფოტოსურათს ორი წუთის განმავლობაში. როგორია მისგან მიღებული ზოგადი შთაბეჭდილება? შემდეგ დაყავით სურათი სექტორებად და თითოეული სექტორი ცალ-ცალკე გაარჩიეთ.

1. ზოგადი შთაბეჭდილება _____

_____

2. სექტორების ანალიზი _____

_____

_____

_____

ბ) გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და ჩამოწერეთ ადამიანების, საგნებისა და მოქმედებების სია

ადამიანები	საგნები	მოქმედებები

საფეხური 2. დასკვნა

ა) ჩამოთვალეთ სამი მნიშვნელოვანი რამ, რასაც ეს ფოტოსურათი გადმოგვცემს.

საფეხური 3. კითხვები
ა) რა კითხვებს აღგიძრავთ ეს ფოტოსურათი?
ბ) სად შეგიძლიათ ამ კითხვებზე პასუხის პოვნა?

პლაკატის/აფიშის ანალიზის სამუშაო ფურცელი

1.	დაასახელეთ ძირითადი ფერები, რომლებითაც შესრულებულია პლაკატი/აფიშა.
2.	აღწერეთ პლაკატი.
3.	რა სიმბოლოებია გამოყენებული პლაკატში/აფიშაში?
4.	რომელი სიმბოლოა: ა) ნათელი (ადვილად გასაგები)? _____ ბ) ბუნდოვანი? _____ გ) დასამახსოვრებელი? _____
5.	პლაკატში/აფიშაში გადმოცემული ინფორმაცია უმთავრესად ვიზუალურია, ვერბალური თუ ორივე ერთად?
6.	როგორ ფიქრობთ, რომელი აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი ეს პლაკატი/აფიშა?

7.	რა იყო პლაკატის/აფიშის ავტორთა მიზანი?
8.	საზოგადოების რა მიზნებს ემსახურება პლაკატი/აფიშა?